

31 ივლისს და 1 აგვისტოს გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მეორე წრის პირველი შეხვედრები.

უაღრესად დიდი მნიშვნელობის მატჩი მოსკოვის „სპარტაკთან“, რომელსაც ასე მოუთმენლად მოველოდით, თბილისის „დინამომ“ მოიგო. ძნელია გადაჭარბებით შევაფასო ამ თამაშის პრაქტიკული და ფსიქოლოგიური მნიშვნელობა. მეორე წრის სტარტზე ჩემპიონატის მონაწილეთა უმრავლესობას ისეთი კონიუნქტურული ვითარება შეექმნა, რომ სწორედ ახლა, გადამწყვეტ ეტაპზე, საჭიროა ძალების სრული მობილიზებით თამაში. ერთნი ლიდერთა შორის იმყოფებიან და გათამაშების წამყვან ჯგუფში არკვევენ თავიანთ ურთიერთობას, ხოლო მეორენი - აუტსაიდერთა შორის არიან და იქ იბრძვიან ერთადერთი, უმთავრესი მიზნის მისაღწევად, როგორმე შეინარჩუნონ ადგილი უმაღლეს ლიგაში.

თბილისის „დინამო“, სამწუხაროდ, ამ უკანასკნელთა რიცხვშია. მის წინაშე კვლავ სრული სიმწვავეთ დგას საბჭოთა ფეხბურთის ავანგარდში ადგილის შენარჩუნების საკითხი.

ავანგარდს როცა ვახსენებთ, რა თქმა უნდა, მხედველობაში მხოლოდ უმაღლესი ლიგა როდის გვაქვს, სადაც ჩვენ აგერ უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია უცვლელად გამოვდივართ. უმაღლესი ლიგა, ეს თავისთავად, მაგრამ როცა საბჭოთა ფეხბურთის ავანგარდს ვახსენებთ, მხედველობაში გვაქვს ჩემპიონობაც, საპრიზო ადგილებიც, საკავშირო თასიც, საერთაშორისო ფეხბურთის ელიტაც. ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რისთვისაც თბილისის „დინამოს“ დამსახურებულად, კანონიერად მიუღწევია ათეული წლების მანძილზე და დღეს თუ ჩვენი გადაუდებელი პრობლემაა უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება, პერსპექტივაში აუცილებლად, ცხადად უნდა ვხედავდეთ თამაშის იმ უმაღლეს დონეს, ფეხბურთელთა იმ ვირტუოზულ ოსტატობას, რომელიც ჩვენში თაობიდან თაობამდე მემკვიდრეობით გამოდიოდა და უპირველესთა რიგებში აყენებდა საქართველოს პირველ გუნდს. ამდენად, ბრძოლა გემართებს სადღეისო ამოცანების განსახორციელებლად და იმ სამომავლო პერსპექტივების შესანარჩუნებლადაც, რომელსაც ასე მოელოის მთელი ჩვენი საფეხბურთო საზოგადოებრიობა. ამ მიზნების მისაღწევად ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა იყო მოსკოვის „სპარტაკთან“ მეორე წრის სტარტზე ჩატარებული მატჩის მოგება.

„დინამო“ (თბილისი) – „სპარტაკი“ (მოსკოვი) – 1:0 (1:0).

თბილისი, ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 31 ივლისი.

„დინამო“: გაბელია, კეტაშვილი, თეთრაძე (ცვები, 70, წ.), ჭელია, არზიანი, რევიშვილი, სვანაძე, სულაქველიძე, ცაავა, გურული მესხი (ქეცბაია, 59).

„სპარტაკი“: შჩელნიკოვი, სუროვი, ივანოვი, მიტინი (ე. კუმნეცოვი, 48), ბუბნოვი, (ზბაროვი, 78), პოვალიევი, პასულკო, შალიმოვი, ჩერენკოვი, როდიონოვი.

მსაჯი ე. ალექსანდროვი (იაროსლავლი).

თამაში ოდნავ შენელებული ტემპით დაიწყო. ნერვიულობა იმდენად ბორკავდა ფეხბურთელებს, რომ დინამოელებსაც და სპარტაკელებსაც ზომაზე მეტად მოსდიოდათ ელემენტარული ხასიათის შეცდომები. განსაკუთრებით გადაცემების დროს. მოსკოვის „სპარტაკიდან“ ვ. ხიდიატულინის წასვლის შემდეგ, გუნდს პრობლემები დაცვის ცენტრში იმდენი დაუგროვდა, რომ გამოუცდელი ახალგაზრდა ფეხბურთელების ივანოვისა და მიტინის თავგამოდებული თამაში ხარვეზებს ვერ ასწორებს. თბილისელთა ყოველი შეტევის დროს სპარტაკელთა სტოპერებში თავს ხშირად იჩენდა შეუთანხმებლობა, უკან დანეული პოვალიევი საჩემს ვერ შველოდა, ამიტომაც სახიფათო მომენტებში გადამწყვეტი სიტყვა ბუბნოვსა და სუროვს უნდა ეთქვათ. მცველთა შეცდომა „სპარტაკის“ შუა ხაზის მოთამაშეთა ერთგვარი არეგდარევაზე გამოიწვია, ხოლო სტუმრების შეტევაში „დინამოს“ მცველებმა ერთმანეთს გათიშეს „სპარტაკის“ მთავარი შემტევი ფეხბურთელები ჩერენკოვი და როდიონოვი. ყველაფერი ამის შედეგად, საკმაო ხნის მანძილზე, დაახლოებით 20-25 წუთში თბილისელები საკმაოდ მყარად ფლობდნენ საერთო ინიციატივას. მართალია, მე-10 წუთზე შალიმოვს ფრიალ ხელსაყრელი მომენტი შეექმნა, მაგრამ მდგომარეობა მეკარე გაბელიამ იხსნა.

დაახლოებით შუა ტაიმიდან სპარტაკელებმა ერთხანს მოაწესრიგეს კომბინაციური თამაში. ამოქმედდა ყველა რგოლი. ამ პერიოდში მათს წინააღმდეგ საჭირო იყო თავგამოდებული თამაში, ბრძოლა მთელს მინდორზე, რათა „სპარტაკს“ არ განეფითარებინა კომბინაციური თამაში და დინამოელებმა ეს ამოცანა თანდათან, მეთოდურად განახორციელეს. სტუმრები კვლავ მომგერიებელთა როლში აღმოჩნდნენ.

პირველი რეალური საფრთხე „სპარტაკის“ კართან 25-ე წუთზე შეიქმნა, როცა მესხმა შორი მანძილიდან სულ მცირედით ააცილა ბურთი კარს. 10 წუთის შემდეგ იმავე მესხმა შუა მინდვრიდან წამოიწყო შეტევა, ბურთი ცაავას გადააწოდა და ამ უკანასკნელმაც მოთვქრებულად, ზუსტად ითამაშა - 1:0.

ეს იყო განვლილი საინტერესო მატჩის უმთავრესი მოვლენა. შესვენების შემდეგ მოსკოველები ბევრს ეცადნენ, მაგრამ რეალურს ვერაფერს მიაღწიეს. დინამოელები

შეთანხმებულად, ენერგიულად იცავდნენ თავს. კონტრშეტევების დროს კი კვლავ და კვლავ სახიფათოდ უტევდნენ პჩელნიკოვის კარს.

მატჩის შედეგს უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ჩვენი გუნდისთვის. თუ გაიხსენებთ, ბოლო გამარჯვება საკავშირო ჩემპიონატში თბილისის „დინამომ“ 25 აპრილს მოიპოვა „შახტიორთან“. მას შემდეგ დამარცხება დამარცხებას მოსდევს და, აი, ახლა ეს მეტად მნიშვნელოვანი მოგება „სპარტაკთან“.

ჩვენს გუნდში ახლა ჯერ კიდევ სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობს. ეტყობა, მწვრთნელებმა კარგად გამოიყენეს ბოლო სანვრთნელი შეკრება და მატჩი ჩვენი ქვეყნის ერთერთ უძლიერეს გუნდთან წარმატებით ჩაატარეს. ამ თამაშში მოსკოვის „სპარტაკმა“ ვერაფრით ვერ შეძლო მობილიზება, ჩვეული კომბინაციური თამაშის აწყობა და ეს მოხდა მხოლოდ იმის გამო, რომ წააწყდა დინამოელთა ერთსულოვან, შეთანხმებულ, კოლექტიურ წინააღმდეგობას. მასპინძლები მინდვრის არც ერთ ნაწილში არაფერს უთმობდნენ მეტოქეებს და გარდა ამისა, ტაქტიკური საშემსრულებლო დონითაც არ ჩამორჩებოდნენ სტუმრებს.

დიდი განსხვავებაა თბილისის „დინამოს“ მიერ მოსკოვის „სპარტაკთან“ ჩატარებულ თამაშსა და იმ უნიათო ფაციფუცს შორის, რომელიც ჩვენმა გუნდმა აქვე, ჩვენს სტადიონზე გამოავლინა ხარკოვის „მეტალისტთან“, ერევნის „არარატთან“, დნეპროპეტროვსკის „დნეპრთან“. მხოლოდ ასეთი თავგამოდებით შეიძლება რთულზე ურთულესი ამოცანის შესრულება.

იმის თქმა, რომ თბილისის „დინამომ“ შესანიშნავად ითამაშაო, არც სწორი იქნება და არც გვარგებს ახლა, როცა ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი. შეცდომები საკმარისად გვექონდა ინდივიდუალური თამაშის დროსაც, კომბინაციური გადაცემებშიც, გუნდის ცალკეული მოთამაშეები ჯერ კიდევ ჩამორჩებიან საერთო ანსამბლს. ყველაფერს ამას კარგად ვხედავთ, მაგრამ ისიც ცხადია, რომ თბილისის „დინამომ“ კონკრეტულად ამ მატჩში საბრძოლველად იყო განწყობილი. ეს ტენდენციები თანდათან უნდა მომძლავრდეს. ჯერ-ჯერობით, ჩვენი ამოცანა კვლავინდებურად უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა. ამიტომაც ასევე სრული შემართებით უნდა ვიბრძოლოთ უახლოეს მატჩში ოდესის „ჩერნომორეცთან“.

მეორე წრის პირველი ტურის შემდეგ თბილისის „დინამოს“ მდგომარეობა ერთგვარად გამოსწორდა. ჯერ კიდევ ბევრი რამის გამოსწორება შეიძლება. ადებული ტემპი არც ერთ მატჩში არ უნდა შევანელოთ.

ლელი 2.08.1988